ცვლილება ბრძანებაში

შინაარსი

- ცვლილებები „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ბრძანებაში
- ცვლილებები საგადასახადო კოდექსში, „ნებაყოფლობითი კერძო პენსია“
- ცვლილება მეთოდურ მითითებაში, „სალაროში ნაღდი ფულის შესახებ“

წარმოგიდგენთ ცვლილებებს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში:

ხე-ტყის საწყისი ნაშთების წარმოდგენის ვადის გახანგრძლივება

2023 წლის 13 ივლისს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №266, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.

მოგეხსენებათ, რომ შემოსავლების სამსახურში შემუშავდა ხე-ტყის მოძრაობის და ნაშთების აღრიცხვის ელექტრონული მოდული, რომელიც ითვალისწინებს ხე-ტყის აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალის წარმოებას, ასევე, საწყისი ნაშთების შესახებ სპეციალური ფორმის და სასაქონლო შეტყობინების გამოწერას, რომელიც იქნება ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების გამოწერის საფუძველი. დამატებით, შეგახსენებთ, რომ გადასახადის გადამხდელი ვალდებულია ხე-ტყის აღრიცხვის განახლებული რეგულაციით, მათ შორის, ავტორიზებულ გვერდზე არსებული ხე-ტყის აღრიცხვის ელექტრონული მოდულით („ხე-ტყის აღრიცხვა“) და ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების გამოწერის ახალი წესით იხელმძღვანელოს 2023 წლის 15 ივნისიდან.

აღნიშნულის ფარგლებში განხორციელდა ცვლილება №996 ბრძანებაში და შეიცვალა ბრძანების 112-ე გარდამავალი დებულებების მუხლის 64-ე პუნქტი. ცვლილების თანახმად, ერთი თვით გახანგრძლივდა ხე-ტყის საწყისი ნაშთების შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვადა. კერძოდ, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, 2023 წლის 15 ივნისის მდგომარეობით მის საკუთრებაში არსებული ხე-ტყის ნაშთის შესახებ ინფორმაცია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს 2023 წლის 16 აგვისტოს ჩათვლით, ნაცვლად 2023 წლის 15 ივლისისა.

ცვლილება ძალაშია 2023 წლის 14 ივლისიდან.

ავტოსატრანსპორტო საშუალების კატალიზური კონვერტორის (კატალიზატორის) მიწოდების შედეგად მიღებული შემოსავალი

2023 წლის 4 ივლისს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №256, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.

ცვლილება განხორციელდა აღნიშნული ბრძანების 39³ მუხლში, რომელიც ეხება ცალკეულ შემთხვევებში ფიზიკური პირის მიერ საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავლის დაბეგვრას გადახდის წყაროსთან. ცვლილების შედეგად, აღნიშნული მუხლის პირველ პუნქტს დაემატა ახალი „გ“ ქვეპუნქტი. ახალი ქვეპუნქტის თანახმად, გადახდის წყაროსთან 3 პროცენტიანი განაკვეთით დაიბეგრება ავტოსატრანსპორტო საშუალების კატალიზური კონვერტორის (კატალიზატორის) ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალების კატალიზური კონვერტორის (კატალიზატორის) მაკომპლექტებელი ნაწილების (მათ შორის, ამორტიზებული მაყუჩის ფილტრის ან/და მაყუჩის კერამიკული ფილტრის) ნარჩენის/ჯართის მიწოდების შედეგად მიღებული შემოსავალი.

ცვლილება ძალაშია 2023 წლის 19 ივლისიდან.

მოგების გადასახადის ყოველთვიური და საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციების ახალი დანართები

2023 წლის 19 ივლისს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №275, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. ცვლილების თანახმად, მოგების ყოველთვიურ და საშემოსავლო გადასახადის წლიურ დეკლარაციებში ასახვას დაექვემდებარა სესხისა და კაპიტალის მოძრაობის შესახებ ინფორმაცია.

<u>საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია</u>

ცვლილება შეეხო აღნიშნული ბრძანების დანართი №II-04-ს და 33-ე მუხლს, რომელიც არეგულირებს ფიზიკური პირის მიერ ყოველწლიურად წარსადგენი საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის შევსების წესს. დანართ №II-04-ს დაემატა ახალი დანართი სახელად „სესხების აღრიცხვა“, ხოლო 33-ე მუხლს დაემატა ახალი მე-9 პუნქტი, სადაც გაიწერა „სესხების აღრიცხვის“ დანართის შევსების წესი, რომლის თანახმადაც აღნიშნულ დანართში აისახება გაცემული და მიღებული სესხების შესახებ ინფორმაცია.

აღნიშნული ცვლილება იმოქმედებს 2023 წლის საშემოსავლო გადასახადის დეკლარირებაზე, რომლის წარდგენის ვადაც არის 2024 წლის 1 აპრილამდე. გადასახადის გადამხდელმა შესაბამის უჯრებში უნდა ასახოს მიღებული/გაცემული სესხ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია.

<u>მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია</u>

ასევე, ცვლილება შეეხო აღნიშნული ბრძანების დანართი №II-08⁶ -ს და 40¹ მუხლს, რომელიც განსაზღვრავს მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის შევსების წესს. აღნიშნულ დანართს დაემატა ახალი „დანართი 3“ სახელად „სესხების და კაპიტალის აღრიცხვა“, ხოლო 40¹-ე მუხლს დაემატა ახალი მე-9 პუნქტი, სადაც გაიწერა „სესხების და კაპიტალის აღრიცხვის“ დანართის შევსების წესი, რომლის თანახმადაც აღნიშნულ დანართში აისახება გაცემული და მიღებული სესხ(ებ)ის, ასევე, როგორც საწარმოს კაპიტალში, ისე საწარმოს მიერ სხვა საწარმოში რიცხული კაპიტალის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- გაცემული და მიღებული სესხების შესახებ ინფორმაცია.
- საწარმოს კაპიტალის ნაწილში ჩაიწერება შემდეგი ინფორმაცია: საანგარიშო თვის საწყისი თარიღის მდგომარეობით საწარმოს კაპიტალის ოდენობა, საანგარიშო თვის განმავლობაში საწარმოს კაპიტალის ზრდა, საანგარიშო თვის განმავლობაში საწარმოს კაპიტალის შემცირება, საანგარიშო თვის ბოლო თარიღის მდგომარეობით საწარმოს კაპიტალის ოდენობა.
- სხვა საწარმოში რიცხული კაპიტალის შემთხვევაში კი: საანგარიშო თვის საწყისი თარიღის მდგომარეობით სხვა საწარმოში რიცხული კაპიტალის ოდენობა, საანგარიშო თვის განმავლობაში სხვა საწარმოში რიცხული კაპიტალის ზრდა; საანგარიშო თვის განმავლობაში სხვა საწარმოში რიცხული კაპიტალის შემცირება და საანგარიშო თვის ბოლო თარიღის მდგომარეობით სხვა საწარმოში რიცხული კაპიტალის ოდენობა.

2023 წლის 1 აგვისტოდან მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის შესაბამის უჯრებში გადასახადის გადამხდელმა უნდა ასახოს ივლისის თვის ოპერაციების დეკლარირებისას ივლისის თვის მდგომარეობით, ხოლო შემდგომი საანგარიშო პერიოდების დეკლარირებისას შესაბამისი გაცემული/მიღებული სესხ(ებ)ის და საკუთარ ან/და სხვა საწარმოში რიცხული კაპიტალის შესახებ ინფორმაცია.

ცვლილება ძალაშია 2023 წლის 1 აგვისტოდან.

ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული ურთიერთშეთანხმების პროცედურა

2023 წლის 6 ივლისს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №258, რომლითაც დამტკიცდა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული ურთიერთშეთანხმების პროცედურის წესი.

გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე, აღნიშნული წესის შესაბამისად, მოითხოვოს ურთიერთშეთანხმების პროცედურის დაწყება, თუ თვლის, რომ საერთაშორისო შეთანხმების მონაწილე ერთი ან ორივე სახელმწიფოს მოქმედება იწვევს ან შესაძლოა გამოიწვიოს მისი დაბეგვრა ამავე საერთაშორისო შეთანხმების დებულებების შეუსაბამოდ, მათ შორის:

- საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებთან დაკავშირებულ საკითხზე.
- მუდმივ დაწესებულებასთან დაკავშირებულ საკითხზე.
- გადასახადის გადამხდელის ორმაგ რეზიდენტობასთან დაკავშირებულ საკითხზე.
- გადასახადის გადახდის წყაროსთან დაკავების საკითხზე.
- საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული დებულებების არასწორად/ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხზე.

აღნიშნული ურთიერთშეთანხმების პროცედურის დაწყებას, საქართველოს კომპეტენტური ორგანოს ფუნქციებს, გადასახადის გადამხდელის ვალდებულებებს და ურთიერთშეთანხმების დასრულების წესს არეგულირებს წინამდებარე ბრძანება. მათგან საყურადღებოა შემდეგი საკითები:

- ურთიერთშეთანხმების პროცედურის დასაწყებად გადასახადის გადამხდელმა საქართველოს კომპეტენტურ ორგანოში უნდა წარადგინოს აღნიშნულის თაობაზე განცხადება.
- თუ გადასახადის გადამხდელმა, რომელიც არ წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტს, მიმართა საქართველოს კომპეტენტურ ორგანოს ურთიერთშეთანხმების პროცედურის დაწყების თაობაზე, საქართველოს კომპეტენტურმა ორგანომ უნდა შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს და ერთობლივად განიხილონ მასთან დაკავშირებით გამოსაყენებელი მიდგომის საკითხი.
- განცხადება გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილ უნდა იქნას საერთაშორისო შეთანხმების დებულებათა შეუსაბამობის აღმოჩენის მომენტიდან სამი წლის ვადაში, თუ საერთაშორისო შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

- საქართველოს კომპეტენტური ორგანოს მიერ ურთიერთშეთანხმების პროცედურის დასრულების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს მისი მიღებიდან სამი თვის განმავლობაში.

ბრძანება ძალაშია 2023 წლის 7 ივლისიდან.

არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მინიჭება და გაუქმება

2023 წლის 28 ივლისს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №14558, რომლითაც ცვლილება შევიდა „ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის გადამხდელის მიერ გამოწერილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის განსაზღვრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 16 თებერვლის №3751 ბრძანებაში.

ცვლილება განხორციელდა აღნიშნული ბრძანების მე-2 მუხლში, რომელიც განსაზღვრავს არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მინიჭებასა და გაუქმებას. კერძოდ, შეიცვალა პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, დღგ-ის გადამხდელს ენიჭება არაკვალიფიციური გადამხდელის სტატუსი თუ კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში არ წარუდგენია საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება (გარდა პირის ქონების გადასახადის დეკლარაციისა/გაანგარიშებისა) ან წარადგინა და მის საფუძველზე დასარიცხი გადასახადის თანხა ერთ ლარს არ აღემატება. აღსანიშნავია, რომ ცვლილებამდე არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მინიჭების საფუძველს წარმოადგენდა შემთხვევა, როდესაც გადასახადის გადამხდელს არ უფიქსირდებოდა პირადი აღრიცხვის ბარათზე გატარებული ოპერაცია გარდა იმ ოპერაციისა, რომლის თანხა შეადგენდა ნულს.

ასევე, აღნიშნული ბრძანების სპეციალური დებულებების მუხლს (მუხლი 8) დაემატა ახალი მე-8 ნაწილი, რომლის თანახმადაც არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს ასევე ეზღუდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების და საგადასახადო დოკუმენტების მატერიალური ფორმით გატანა.

ცვლილება ძალაშია 2023 წლის 1 ივლისიდან.

ცვლილება კანონში

ნებაყოფლობითი კერძო პენსია

2023 წლის 19 ივლისს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის“ შესახებ. აღნიშნული კანონის ამოქმედებამ განაპირობა ცვლილებების შეტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც უზრუნველყოფს ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ კანონის განხორციელებას შესაბამისი საგადასახადო რეჟიმის ამოქმედებით.

საქართველოს კანონი „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“, შემუშავდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, რომლის მიზანია საქართველოში ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო ბაზრის განვითარება, ამ ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა, ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა, გრძელვადიანი ინვესტიციების წახალისება და მონაწილეებისა და ბენეფიციარების ინტერესების დაცვა. აღნიშნული კანონის თანახმად, კერძო საპენსიო სქემა შეიძლება იყოს ორი სახის - ინდივიდუალური საპენსიო სქემა და ჯგუფური საპენსიო სქემა. ინდივიდუალური საპენსიო სქემის რეგისტრირების უფლებამოსილება გააჩნიათ მხოლოდ აქტივების მმართველ კომპანიებსა და მზღვეველებს და მასში მონაწილეობა შეუძლია როგორც დასაქმებულ ფიზიკურ პირს, ასევე ნებისმიერ სხვა ფიზიკურ პირს (მათ შორის თვითდასაქმებულს). მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული კანონით თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს სურვილისამებრ მონაწილეობა მიიღოს ერთ ან რამდენიმე ინდივიდუალურ საპენსიო სქემაში და კიდევ უფრო მეტი მოქნილობისათვის ნებისმიერ დროს გადაიტანოს მისი საპენსიო აქტივი ერთი ინდივიდუალური სქემიდან მეორე ინდივიდუალურ სქემაში. რაც შეეხება ჯგუფურ საპენსიო სქემას, აღნიშნული განპირობებულია დასაქმებით და მასში მონაწილეობა შეუძლია მხოლოდ საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად შრომით ურთიერთობაში მყოფ დასაქმებულს. მნიშვნელოვანია, რომ დასაქმებულს ჯგუფურ საპენსიო სქემასთან ერთად შეუძლია ასევე მონაწილეობა მიიღოს ერთ ან მეტ ინდივიდუალურ საპენსიო სქემაში.

იმისათვის, რომ ნებაყოფლობითმა კერძო საპენსიო სქემებმა რეალურად შეძლოს კონკურენციის გაწევა დაგროვებით საპენსიო სქემისთვის, მნიშვნელოვანი იყო კონკურენტუნარიანი საგადასახადო რეგულაციების შემოღება. სწორედ ამიტომ სსკ-ში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

შეიცვალა სსკ-ის 82-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებას. აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილს დაემატა ახალი „ბ4“ ქვეპუნქტი, რის მიხედვითაც განისაზღვრა შემოსავლის ის სახეები, რომელიც მიღებულია ფიზიკური პირის მიერ ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემის ფარგლებში და თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან:

- მონაწილის მიერ ან/და მის სასარგებლოდ წლის განმავლობაში ჯამურად 6 000 ლარამდე განხორციელებული საპენსიო შენატანი.
- მონაწილის მიერ საპენსიო სქემაში მონაწილეობის შედეგად მიღებული სარგებელი.
- მონაწილის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევისას, ვადაზე ადრე პენსიაზე გასვლისას ან მისი შესაძლებლობის შეზღუდვისას მონაწილის პირად საპენსიო ანგარიშზე აღრიცხული საპენსიო აქტივები პროგრამული გატანით ან ანუიტეტის ფორმით მიღებისას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მონაწილის მიერ საპენსიო სქემაში მონაწილეობის შედეგად მიღებული სარგებლის გატანაზე ზემოაღნიშნული გათავისუფლება მოქმედებს მხოლოდ საპენსიო აქტივების კანონით განსაზღვრული წესების შესაბამისად გატანის შემთხვევაში, რაც საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ ანუიტეტის სახით გატანას, პროგრამულ გატანას, ასევე საპენსიო ასაკამდე 5 წლით ადრე გატანის შესაძლებლობას ან შესაძლებლობის შეზღუდვისას სარგებლის მიღებას გულისხმობს. ამასთან, პენსიის ერთიანი გადახდის შემთხვევაში, თუ ბენეფიციარის მიერ ხდება ჯამური წლიური 6,000 ლარიანი საშეღავათო შენატანების ფარგლებში პენსიის გატანა, ამ შემთხვევაში მონაწილე ვერ ისარგებლებს წყაროსთან საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებით და ასეთი შენატანები დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადის 20-პროცენტიანი განაკვეთით.

ასევე, შეიცვალა სსკ-ის 101-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს. აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილს დაემატა ახალი „თ1“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალს განეკუთვნება დამქირავებლის მიერ დაქირავებულის სასარგებლოდ „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საპენსიო სქემაში განხორციელებული საპენსიო შენატანების მოცულობა.

ცვლილება განხორციელდა სსკ-ის 154-ე მუხლშიც, რომელიც არეგულირებს გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების წესს. აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილს დაემატა ახალი „ჟ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალება საგადასახადო აგენტს, რომელიც არის აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი ან საპენსიო კომპანია – „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საპენსიო სქემის მონაწილისთვის მის პირად საპენსიო ანგარიშზე აღრიცხული საპენსიო აქტივების გაცემისას.

ასევე, სსკ-ის 309-ე გარდამავალი დებულებების მუხლს დაემატა ახალი 141-ე ნაწილი. ახალი ჩანაწერის თანახმად, იმ იურიდიული პირების მიერ, რომლებიც 2025 წლის 1 იანვრამდე ახორციელებდნენ ნებაყოფლობით კერძო საპენსიო საქმიანობას, 2025 წლის 1 იანვრიდან განხორციელებულ განაცემებზე ვრცელდება „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ამ კოდექსით განსაზღვრული ნორმები.

აღნიშნულ კანონთან დაკავშირებული სხვა საგადასახადო ცვლილებები ასევე განსაზღვრავს სხვა ტექნიკური დეტალების მოწესრიგებას, როგორიც არის ძველი კანონის ტერმინოლოგიის ჩანაცვლება ახლით, ნებაყოფლობით კერძო პენსიასთან დაკავშირებული საქმიანობის ფინანსურ მომსახურება/ოპერაციად კვალიფიცირება, საგადასახადო საიდუმლოებასთან დაკავშირებული დებულებების გათვალისწინება ნებაყოფლობითი კერძო პენსიებისათვის და მონაწილის საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების გაუვრცელებლობა მის საპენსიო აქტივებზე.

ცვლილება ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება ცვლილებებს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ბრძანებაში, ასევე ცვლილებებს საქართველოს საგადასახადო კოდექსსა და მეთოდურ მითითებაში.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

▸ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

ცვლილება მეთოდურ მითითებაში

„სალაროში ნაღდი ფულის შესახებ“ - დანართი №9

2023 წლის 13 ივლისს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება N15615, „ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 8 ივლისის №22708 ბრძანებაში (ნაწილი I) ცვლილების შეტანის შესახებ. კერძოდ, ცვლილება განხორციელდა მეთოდურ მითითებაში „სალაროში ნაღდი ფულის შესახებ“ - დანართი №9.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული მეთოდური მითითება არეგულირებს საგადასახადო შემოწმებისას, სსკ-ის 73-ე მუხლის გათვალისწინებით, საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის სალაროში ნაღდი ფულის ნაშთიდან გონივრული ნაშთის გაანგარიშებას და არაგონივრული ნაშთის დაბეგვრას. ცვლილების შედეგად, ახალ მეთოდურ მითითებაში შეიცვალა რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა, მეთოდური მითითების გამოყენების პრინციპები და დაემატა ახალი ტერმინები და მაგალითები, რომლებიც დემონსტრირებას უკეთებს შემოსავლების სამსახურის მიერ შემუშავებულ საგადასახადო დაბეგვრის მიდგომებს. ამასთან, განახლებულ მეთოდურ მითითებაში მოცემულია გონივრული ნაშთის გაანგარიშების განსხვავებული მიდგომები, მეთოდური მითითების ძველ ვერსიასთან შედარებით.

მეთოდური მითითება ძალაშია 2023 წლის 4 ივლისიდან.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის - “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში. ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.